საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 02 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №273/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- --, -- --, -- -- და სხვათა 2018 წლის 01 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 20 მარტის №273/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, მოსამართლე -- -- საქმის განხილვის დროს იყო აგრესიული, უყვიროდა და უპატივცემულოდ მიმართავდა მხარეებს. სახელმწიფო ბრალმდებლის აცილების თაობაზე, შუამდგომლობის განხილვის დროს, მოსამართლე ცდილობდა დაცვის მხარე წარმოეჩინა არაკვალიფიციურად. მოსამართლე მიმართავდა დარბაზში მყოფ პირებს, უხსნიდა, რომ ადვოკატები არღვევდნენ დაცვის უფლებას და მათ არ ესმოდათ სასამართლოს განმარტებები. პარალელურად, მოსამართლე დიპლომატიურად აცხადებდა, რომ ეჭვი არ ეპარებოდა ადვოკატების პროფესიონალიზმში. დაცვის მხრიდან სამართლიან პრეტენზიაზე, მოსამართლე ისევ აგრესიული ტონით პასუხობდა. 2018 წლის 23 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე, როგორც მოსამართლე, ისე პროკურორი სარგებლობდნენ მობილური ტელეფონით. მომჩივანთა მოსაზრებით, ისინი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს შსს -- პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს -- განყოფილების წარმოებაში იმყოფებოდა სისხლის სამართლის №-- საქმე -- -- მიმართ.

-- -- დაკავებულია 2018 წლის 31 აგვისტოს, ხოლო 2018 წლის 02 სექტემბერს წარედგინა ბრალდება, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მესამე ნაწილით.

-- სასამართლოს 2018 წლის 03 სექტემბრის განჩინებით, ბრალდებულ -- -- აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 07 სექტემბრის განჩინებით,

დაცვის მხარის საჩივარი, -- სასამართლოს 2018 წლის 03 სექტემბრის განჩინებაზე, დაუშვებლადაა ცნობილი.

სს საქმე წინასასამართლო სხდომის ეტაპზე იმყოფებოდა მოსამართლე -- -- წარმოებაზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- --, -- --, -- -- და სხვათა 2018 წლის 01 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ (მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) და „თ“ (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) ქვეპუნქტებით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომების ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომელიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს, ხოლო „ვ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს „მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა“.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა... ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია... სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში დაცულია მოსამართლეებისა და ადვოკატების გამოხატვის თავისუფლებაც, თუმცა უფლების შინაარსი ამ მხრივ არაა აბსოლუტური და იგი ექვემდებარება გარკვეულ ჩარევებს. მოსამართლეები ვალდებული არიან დაიცვან სასამართლო განხილვების კონფიდენციალურობა, მიუკერძოებლობა, რაც, სხვა დანარჩენთან ერთად გულისხმობს იმას, რომ მათ თავი უნდა შეიკავონ კომენტარების გაკეთებისაგან, საქმის წარმოებისა და იურისტების მუშაობის შესახებ.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების შესაბამისად, მოსამართლე სასამართლო სხდომაზე და მის გარეთ ყოველთვის თავაზიანი უნდა იყოს და პატივს სცემდეს გარშემო მყოფთა ღირსებას... ადვოკატის მისამართით მოსამართლის უსაფუძვლო შენიშვნები, სასამართლო სხდომის მხარეთა ან მოწმეთა მიმართ შეურაცხმყოფელი კომენტარები, გესლიანი ხუმრობა, სარკაზმი და თავშეუკავებელი, ტენდენციური ქცევა არღვევს სასამართლო დარბაზში სასამართლოსათვის შესაფერის წესრიგსა და ეტიკეტს. თუ მოსამართლეს ჩარევა სურს, მისი გამონათქვამის ტონი და მანერა ჩრდილს არ უნდა აყენებდეს მის მიუკერძოებლობას[1].

ადვოკატთა გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაშიც არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რაც კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად[2]. CCBE-ს ევროპული

[1] „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, 4 215, თბილისი 2015

[2] Rodriguez Ravelo v. Spain, № 48074/10, 12 იანვარი, 2016 წ (ECHR); ნიკულა ვ. ფინეთი, 21 მარტი, 2002; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) ამიხალაკიოაე ვ. მოლდოვა, 20 აპრილი 2004.

იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტიის (თ) და (ი) პუნქტები, კერძოდ, კოლეგებისადმი პატივისცემის, კანონის უზენაესობისა და სამართლიანი მართლმსაჯულების პატივისცემის პრინციპები, მოითხოვენ კოლეგების, ინდივიდუალური მოსამართლეების, სასამართლო პროცედურებისა და გადაწყვეტილებების შეურაცხმყოფელი კრიტიკისაგან თავის შეკავებას[3].

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.6. პუნქტის თანახმად, მოსამართლე იცავს წესრიგსა და ეტიკეტს ყველა სასამართლო განხილვის მსვლელობისას და მოქმედებს მოთმინებით, ღირსეულად და თავაზიანად სასამართლო სხდომის მხარეთა, ნაფიც მსაჯულთა, მოწმეთა, ადვოკატებისა და სხვა პირების მიმართ, რომლებსაც მოსამართლე მიმართავს თავისი ოფიციალური სტატუსიდან გამომდინარე. მოსამართლემ უნდა მოსთხოვოს ასეთივე ქცევა მხარეთა კანონიერ წარმომადგენლებს, სასამართლოს თანამშრომლებს და სხვა მოსამართლის გავლენის, მის დაქვემდებარებაში თუ მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებს.

მოსამართლემ არასდროს არ უნდა გააწყვეტინოს ადვოკატს სიტყვა უსაფუძვლოდ და მრავალგზის, არ უნდა გააკეთოს შეურაცხმყოფელი ან დამცინავი კომენტარი ადვოკატის მიერ მოყვანილი მოსაზრებების თაობაზე; მეორე მხრივ, არცერთი მოსამართლე არ არის ვალდებული, მოუსმინოს ადვოკატს, რომელიც ბოროტად იყენებს პროცესს, აშკარად უსაფუძვლო და გაუმართლებელი, სუსტი მოსაზრებები მოჰყავს, ან შეურაცხყოფას აყენებს მოსამართლეს, სხვა ადვოკატებს, საქმის მხარეებსა თუ მოწმეებს, და არ შეაწყვეტინოს მას სიტყვა[4].

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიღებული აქვს არაერთი გადაწყვეტილება[5], სადაც სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის მიზნით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულად იქნა ცნობილი. სასამართლოს მიიჩნია, რომ სრულიად დაუსაბუთებელი განცხადებების და ბრალდებების ფორმით გამოხატვის თავისუფლება სცილდებოდა კონვენციით დასაშვებ ზღვარს და უპირისპირდებოდა ისეთ სამართლებრივ სიკეთეს, როგორიცაა სასამართლო სისტემის და მოსამართლის ავტორიტეტის დაცვა.

საქმეში Kyprianou v. Cyprus, ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ადვოკატებს აქვთ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ კომენტარის უფლება, მაგრამ მათ კრიტიკამ არ უნდა გადალახოს გარკვეული მიჯნები. ასევე, ადვოკატის სიტყვის თავისუფლება სასამართლოს დარბაზში არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესების, მათ შორის, სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა, წარმოადგენს გამართლებულ ჩარევას.

„მართლმსაჯულების განხორციელების კომენტირება“, „მისი მიჯნები“ „სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის მიზანი“ საკითხებია, რაც ინდივიდუალურად, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით ფასდება. შეფასების პროცესში გაითვალისწინება: ყველა ის გარემოებები და საერთო ფონი, რომლის საწინააღმდეგოდაც გაკეთდა სადავო განცხადებები; სამართლიანი ბალანსი - სასამართლოს ავტორიტეტის დაცვასა და ადვოკატის აზრის გამოხატვის თავისუფლებას შორის.

2018 წლის 10 ოქტომბერს, -- სასამართლოს განცხადებით მიმართა ბრალდებულ -- -- ადვოკატმა. განცხადებაში იგი მიუთითებდა, რომ -- -- ინტერესებს იცავდა 14 ადვოკატი. ამასთან, სასამართლო პროცესზე მოსალოდნელი იყო დამსწრე პირთა დიდი რაოდენობით გამოცხადება, საქმისადმი საზოგადოების დიდი ინტერესის გათვალისწინებით. აღნიშნულის გამო, ადვოკატი ითხოვდა 2018 წლის 17 ოქტომბრის სასამართლო პროცესის დიდ სხდომის (№--) დარბაზში გამართვას.

---

[3] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) დასკვნა #16 (2013) 425

[4] „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, 4 214, თბილისი 2015

[5] Barfod v. Denmark; Prager and Oberschlick v. Austria; Lomakin v. Russia; Wingerter v. Germany; Falter Zeitschriften GmbH v. Austria; Klaus Jürgen BÖHM v. Germany

-- სასამართლოს ოფიციალურ ვებსაიტზე (--) მითითებულია ინფორმაცია - 2018 ოქტომბრის 17 ოქტომბრის სასამართლო სხდომის №-- დარბაზში გამართვის თაობაზე. სასამართლო სხდომის №-- დარბაზის 2018 წლის 17 ოქტომბრის ვიდეოჩანაწერის თანახმად, -- -- მიმართ სს საქმის განხილვის დასრულების შემდეგ, სასამართლო სხდომის დარბაზში შემოდის პირი (სავარაუდოდ-- -- ადვოკატი), რომელიც ეკითხება მოსამართლეს, სასამართლო პროცესის სხდომის დარბაზის შესახებ. მოსამართლე უმარტავს მას, რომ თავად როგორც წესი სასამართლო პროცესებს მართავს №31 დარბაზში, თუმცა მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, თავისუფალი სხდომის დარბაზებიდან კონკრეტული სს საქმისთვის შეარჩია შედარებით დიდი, №-- დარბაზი. ადვოკატის შეკითხვაზე, მოსამართლე ასევე პასუხობს, რომ №-- დარბაზში სხვა მოსამართლე იხილავდა 5 პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმეს. თუ ეს საქმე გადაიდებოდა, მაშინ შეიცვლებოდა სხდომის დარბაზი, ხოლო სხვა შემთხვევაში იგი სხვა მოსამართლეს პროცესს ვერ ჩაუშლიდა. მოსამართლე განმარტების შემდეგ ტოვებს სხდომის დარბაზს. აღნიშნულის შემდეგ, ვიდეოჩანაწერი წყდება და აღარ გრძელდება. საჩივარში მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული კომუნიკაცია მიმდინარეობდა მოსამართლის მხრიდან აგრესიული ტონით, თუმცა სასამართლო სხდომის №-- დარბაზის 2018 წლის 17 ოქტომბრის ვიდეოჩანაწერის თანახმად, მსგავსი გარემოება არ დასტურდება. შესაბამისად, უსაფუძვლოა ამ ნაწილში მომჩივანთა პრეტენზია, მოსამართლის არაეთიკურ ქმედებაზე.

2018 წლის 17 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე, მოსამართლისა და სხდომის მდივნის აცილების საკითხის განხილვის დროს, დაცვის მხარის ადვოკატებმა: -- --, -- -- და -- -- მადლობა გადაუხადეს სასამართლოს, სხდომის დარბაზის შეცვლისა და დიდ დარბაზში პროცესის გამართვის გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით ადვოკატმა -- -- განაცხადა, რომ იგი მადლობას ვერ გამოთქვამდა სასამართლოს დარბაზის შეცვლისთვის, ვინაიდან ეს სასამართლოს „მოსაგვარებელი საკითხი“ იყო. საპასუხო განმარტება გააკეთა მოსამართლემაც. მან სასამართლოს ვალდებულებასთან მიმართებით აღნიშნა, რომ დარბაზის შეცვლა იყო სასამართლოს მხრიდან კოლეგიალური ნაბიჯი ადვოკატებთან, კოლეგებთან. მოსამართლემ მიუთითა საქართველოს სსსკ-ის 85 მუხლზე და განმარტა, რომ სასამართლო უფლებამოსილი იყო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფის მიზნითაც შეეზღუდა სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა, თუმცა მსგავსი ინტერესი სასამართლოს არ ჰქონია, ვინაიდან სურვილი იყო, საზოგადოებას უშუალოდ მიეღო ინფორმაცია სხდომის მიმდინარეობაზე.

ანალოგიური შინაარსის განმარტება გააკეთა სასამართლომ შემდგომშიც, მოსამართლის აცილების შუამდგომლობაზე მსჯელობისას. კერძოდ, ადვოკატ -- -- კომენტარზე, როცა მან განაცხადა, რომ სასამართლომ დაამადლა მხარეებს დიდ დარბაზში სასამართლო სხდომის ჩატარება. საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლოს დიდ დარბაზში სხდომის გამართვა მოსამართლემ დაცვის მხარეს აგრესიული ტონით დააყვედრა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მოცემულობა ამგვარი ობიექტური აღქმის შესაძლებლობას არ იძლევა. კერძოდ, ის გარემოებები და საერთო ფონი, რასთან დაკავშირებითაც სასამართლომ გააკეთა სადავო განცხადებები, არ ქმნის იმ დასკვნის საფუძველს, რომ ან განზრახვა, ან სურვილი ჰქონდა მოსამართლეს მხარისთვის მიეყენებინა შეურაცხყოფა. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს განმარტებას წინ უსწრებს დაცვის მხარის უკმაყოფილო კომენტარი, რის შემდეგაც სასამართლო პასუხობს განცხადებას, საპროცესო ნორმებზე მითითებით. ამასთან, სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის თანახმად, მოსამართლე საუბრობს მართალია რიგ შემთხვევაში ხმამაღლა, თუმცა არა შეურაცხმყოფელი საუბრის ფორმით. შეურაცხმყოფელი კონტექსტი, ამგვარი სიტყვები და საუბრის ტონი, არაკორექტული ქცევის გამოვლენის მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ დასტურდება.

2018 წლის 17 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე, ბრალდებულმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, სახელმწიფო ბრალმდებლის აცილების თაობაზე. შუამდგომლობაში იგი მიუთითებდა, რომ პატიმრობაში ყოფნის პერიოდში, შესაბამისი დადგენილების გაცნობის გარეშე, პროკურორმა შეუზღუდა გარკვეული უფლებები. შუამდგომლობის განხილვის პროცესში, დაცვის მხარემ დამატებითი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და სთხოვა პენიტენციური დაწესებულებიდან,

პატიმრის უფლებების შეზღუდვის თაობაზე, დადგენილების გამოთხოვა. ასევე, დადგენილების წარმოდგენამდე, წინასასამართლო სხდომის გადადება.

მტკიცებულების გამოთხოვის შუამდგომლობასთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ ჰიპოთეტურად შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, გარკვეული საპროცესო მოქმედებების განხორციელების გარეშე, დაუშვებელი იყო სასამართლო სხდომის გადადება. საწინააღმდეგო მოსაზრება ჰქონდათ დაცვის მხარის რამდენიმე ადვოკატს. მათი მოსაზრებით, საპროცესო აკრძალვას ამ მიმართებით კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა. სხდომის გადადების თაობაზე, სამართლებრივი პოლემიკა მხარეებს შორის, მათ შორის მოსამართლის მხრიდანაც, მიმდინარეობდა ხმამაღალი ტონით. საბოლოოდ, სასამართლომ განმარტება გააკეთა სასამართლო დარბაზში დამსწრე პირებისათვის. მოსამართლის განცხადებით, სასამართლოს „ჩაძიება“ და მხარეებთან ამ საკითხზე სამართლებრივი დისკუსია, სასამართლოს „კაპრიზად“ რომ არ აღქმულიყო დამსწრე პირთა მხრიდან, მიზანშეწონილად მიაჩნდა განემარტა გარკვეული საკითხები. მოსამართლემ მიუთითა საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილზე და წინასასამართლო სხდომის ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების (პატიმრობის) საკითხზე მსჯელობის აუცილებლობაზე. აცილების შუამდგომლობის გადაწყვეტის გარეშე კი, მოსამართლე მიიჩნევდა, რომ ვერ იმსჯელებდა აღკვეთის ღონისძიებაზე, იმ პირობებში როცა სხდომაზე გამოცხადებული იყვნენ მხარეები. სასამართლო მიუთითებდა ზოგადად წინასასამართლო სხდომის გადადების საპროცესო შესაძლებლობაზე, თუმცა აღნიშნული დასაშვებად მიაჩნდა მას შემდეგ, რაც განხორციელდებოდა აღკვეთის ღონისძიების საკითხზე მსჯელობა. განმარტებას ასევე წინ უძღოდა სასამართლოს განცხადება ადვოკატთა პროფესიონალიზმის შესახებ: „ადვოკატების კომპეტენციაში და თქვენს გამოცდილებაში ნამდვილად არ მეპარება ეჭვი. მე არ ვიცი ამას როგორ გაიგებთ, მაგრამ მე ამას გულითადად გეუბნებით, მაგრამ დარბაზში არიან დამსწრე პირები და შესაბამისად მინდა მათთვისაც იყოს გასაგები“.

საჩივარში მითითებულია, რომ შუამდგომლობის განხილვის პროცესში მოსამართლე ცდილობდა დაცვის მხარე წარმოეჩინა არაკვალიფიციურად. მოსამართლე მიმართავდა დარბაზში მყოფ პირებს, უხსნიდა, რომ ადვოკატები არღვევდნენ დაცვის უფლებას და მათ არ ესმოდათ სასამართლოს განმარტებები. პარალელურად, მოსამართლე დიპლომატიურად აცხადებდა, რომ ეჭვი არ ეპარებოდა ადვოკატების პროფესიონალიზმში. დაცვის მხრიდან სამართლიან პრეტენზიაზე, მოსამართლე ისევ აგრესიული ტონით პასუხობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საჩივრის ავტორთა შეფასებები ამ კუთხით ვერ იქნება გაზიარებული. მოსამართლის აგრესიული ტონით საუბარი, ადვოკატთა არაპროფესიონალიზმზე მინიშნება და მსგავსი შინაარსის განცხადება -„ადვოკატები არღვევდნენ დაცვის უფლებას და მათ არ ესმოდათ სასამართლოს განმარტებები“, სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის თანახმად არ დასტურდება. რაც შეეხება დამსწრე პირებზე მიმართვას და სასამართლოს განმარტებას, აღნიშნულზე მსჯელობისათვის მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 3.2. პუნქტზე, სადაც განმარტებულია, რომ მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ ასევე უნდა არსებობდეს აღქმა საზოგადოებაში, რომ მართლმსაჯულება აღსრულდა.

„მართლმსაჯულების საზოგადოებისათვის ღიად აღსრულებასთან“ დაკავშირებით, „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ოფიციალურ კომენტარებში მითითებულია, რომ „ის, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება მოსამართლის საქმიანობას, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი საქმიანობა საკუთრივ. ამიტომ მოსამართლე ყოველგვარ ეჭვსგარეშე უნდა იყოს. მოსამართლე არა მარტო უნდა იყოს პატიოსანი, არამედ აღიქმებოდეს ასეთად. მოსამართლის ვალი მხოლოდ ის კი არ არის, რომ სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანოს, მან ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ ამ გადაწყვეტილების სამართლიანობასა და ობიექტურობაში, ასევე მოსამართლის პატიოსნებაში დაეჭვების შესაძლებლობა გამოირიცხებოდეს“.

კონკრეტულ ფაქტთან მიმართებით საყურადღებოა შემდეგი გარემოებები:

- სასამართლო განცხადების გაკეთებამდე მიუთითებს იმ საფუძველზე, თუ რატომ მიიჩნია მიზანშეწონილად დამსწრე პირებისთვის საკითხის განმარტება (მოსამართლის განცხადებით, სასამართლოს „ჩაძიება“ და მხარეებთან ამ საკითხზე სამართლებრივი დისკუსია, სასამართლოს „კაპრიზად“ რომ არ აღქმულიყო დამსწრე პირთა მხრიდან...).
- სასამართლო განცხადების დროს საუბრობს მხოლოდ საპროცესო ნორმებზე. იგი არ განიხილავს წინააღმდეგობრივად, ციტირებით, ადვოკატთა პოზიციებს.
- ადვოკატთა პროფესიონალიზმთან დაკავშირებით საზოგადოებაში (დამსწრე პირებში) ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მოსამართლე ასევე აქცენტს აკეთებს მათ კომპეტენტურობაზეც („ადვოკატების კომპეტენციაში და თქვენს გამოცდილებაში ნამდვილად არ მეპარება ეჭვი. მე არ ვიცი ამას როგორ გაიგებთ, მაგრამ მე ამას გულითადად გეუბნებით, მაგრამ დარბაზში არიან დამსწრე პირები და შესაბამისად მინდა მათთვისაც იყოს გასაგები...“).

ობიექტური გარეშე დამკვირვებლის შეფასებით, სასამართლოს განცხადების მიზნობრიობა და შინაარსი, გამორიცხავს მოსამართლის მხრიდან ადვოკატთა მიმართ არასათანადო დამოკიდებულების განზრახვას. შესაბამისად, სასამართლოს განმარტება ვერ შეფასდება პროცესის მონაწილე ადვოკატთა მიმართ არაკორექტულ, არაეთიკურ დამოკიდებულებად.

2018 წლის 17 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე, ადვოკატმა -- -- წარმოადგინა შუამდგომლობა, ბრალდებულისთვის ეთნოგრაფიული ნიშნებიანი სამკლავურის გადაცემის თაობაზე. შუამდგომლობის წარმოდგენისას, სასამართლომ მას მისცა დამატებითი დრო, შუამდგომლობის დასაბუთებისთვის, კერძოდ, სამართლებრივი ნორმების მითითებისთვის. ასევე მოსამართლის თანხმობით, მოსაზრებების გამოხატვა განაგრძეს ბრალდებულმა და სხვა ადვოკატებმა.

ადვოკატ -- -- საუბრისას, მან განაცხადა, რომ მის სიტყვებზე პროკურორს ეღიმებოდა. ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში ადვოკატიც საუბრობდა ხმამაღალი ტონით, სასამართლომ ორივე მხარეს მიმართა, ერთმანეთის მიმართ ჰქონოდათ ეთიკური დამოკიდებულობა. ადვოკატმა კვლავ გააგრძელა საუბარი, სხდომაზე მისი ეთიკური ქცევის შეფასებაზე. სასამართლომ მას რამდენჯერმე მიმართა სიტყვებით: „კარგით“, „დაბრძანდით“, „გავიგეთ“, ხოლო შემდეგ აუდიოჩანაწერში ასევე ისმის მოსამართლის ხმამაღალი ტონით ნათქვამი: „გამოართვით მიკროფონი, გავიგე ბატონო“. საჩივარში მითითებულია ადვოკატ -- -- მიმართ, სასამართლოს არაკორექტულ ქცევაზე, რომ მოსამართლემ ადვოკატს ყვირილით ჩამოართვა მიკროფონი.

საკითხის სრულად და ობიექტურად შეფასებისთვის მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს ის კონტექსტი და საერთო ფონი, თუ რატომ განაცხადა მოსამართლემ „გამოართვით მიკროფონი, გავიგე ბატონო“. საყურადღებოა განმარტებამდე მოსამართლის წინარე ქმედებები. კერძოდ, მიკროფონის გამორთმევამდე, სასამართლო ადვოკატს რამდენჯერმე მიმართავს სიტყვებით: „კარგით“, „დაბრძანდით“, „გავიგეთ“, თუმცა სასამართლოს მითითებას ადვოკატი არ ითვალისწინებს და კვლავ აგრძელებს საუბარს, მისი ქცევის ეთიკურ შეფასებაზე. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისა და მოსამართლის მითითების აღსრულების მიზნით, ამგვარ მოცემულობაში არაეთიკურ ქმედებად ვერ ჩაითვლება ადვოკატის შეჩერება, მისთვის მიკროფონის გამორთმევის გზით.

პარალელურად აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის თანახმად, მოსამართლის კორექტული არაერთგზისი მითითების შემდეგ ისმის მოსამართლის ხმამაღალი, მკაცრი ტონიც. მოსამართლის მიერ პროცესის მიმდინარეობისას ხმამაღალი ტონით საუბარი არ წარმოადგენს მიღებულ ფორმას, პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობაში, თუმცა აქვე უნდა დაზუსტდეს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისათვის არსებითია შეურაცხმყოფელი კონტექსტის დადასტურებაც. ქმედება თავისი შინაარსით მთლიანობაში უნდა იწვევდეს პირის შეურაცხყოფას, მისი პატივისა და ღირსების დამცირებას. შეფასების კრიტერიუმად კი, გამოიყენება გარეშე დამკვირვებლის სტანდარტი. წარმოდგენილ მოცემულობაში ამგვარი საფუძვლიანი ვარაუდი შექმნილი საერთო ფონის, მოსამართლის წინარექმედებისა და ნათქვამის შინაარსის მიხედვით, არ დასტურდება.

2018 წლის 17 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ წარმოადგინა მოსამართლის აცილების თაობაზე შუამდგომლობა. შუამდგომლობაში ადვოკატი უთითებდა, რომ ადგილი ჰქონდა დაცვის მხარის უფლებების შეზღუდვას მოსამართლის მხრიდან, მოსამართლე იყო ანტიეროვნული და ახორციელებდა დისკრიმინაციას ეროვნული ნიშნით. მოსამართლემ შეაწყვეტინა მას საუბარი და გააფრთხილა სასამართლოს უპატივცემულობის გამო.

ადვოკატი: ერთი სიტყვა მაინც ვთქვი უპატივცემულოდ?
მოსამართლე: დიახ, ნუ მომყვებით კამათში, რაც ისაუბრეთ მთლიანად არის სასამართლოს უპატივცემულობა. თქვენ ადვოკატი ბრძანდებით და შესაბამისი უფლებებიც გაქვთ და მოვალეობებიც. თქვენ უნდა გამოხატოთ მოსაზრებები, მაგრამ არ უნდა გამოიჩინოთ სასამართლოს უპატივცემულობა.

მოსამართლის აცილების თაობაზე შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. განჩინების გამოცხადების პერიოდში, სხდომის აუდიოჩანაწერის თანახმად, ადვოკატი -- -- აცხადებს, რომ „ეს არ არის დემოკრატია“. სასამართლომ მიუთითა მას „ნუ მაწყვეტინებთ“ და განაგრძო განჩინების გამოცხადება. აღნიშნულის შემდეგ მოსამართლეს, მიმართავს ადვოკატი -- -- და აღნიშნავს, რომ ბრალდებულს სურს განცხადების გაკეთება. სასამართლომ ორივე ადვოკატი, განჩინების გამოცხადების შეწყვეტისა და სასამართლოს უპატივცემულობის გამო, დააჯარიმა 200-200 ლარით. დაჯარიმების თაობაზე განკარგულების გამოცხადების შემდეგ, სასამართლომ განცხადების უფლება მისცა ბრალდებულს. უნდა აღინიშნოს, რომ აუდიოოქმის ჩანაწერის თანახმად, სასამართლოს, აცილების თაობაზე განჩინების დასაბუთება აღარ გაუგრძელებია.

ადვოკატების დაჯარიმების თაობაზე, კომენტარი გააკეთა ადვოკატმა -- --. მისი განცხადებით, სასამართლო ზეწოლას ახდენდა ადვოკატებზე და სასამართლოს უპატივცემულობა სწორედ მოსამართლის არაკანონიერი ქმედებები იყო. აღნიშნულის და ზოგადად, -- -- მიერ სხდომაზე სხვა შემთხვევებში გაკეთებული განცხადებების გამო, ადვოკატი დაჯარიმდა 100 ლარით. საჩივარში აღნიშნულია, მოსამართლის მხრიდან არაეთიკურ ქცევაზე, ადვოკატებთან ყვირილით საუბარზე.

სასამართლოს სხდომის აუდიოჩანაწერის თანახმად, დასტურდება მხოლოდ მოსამართლის მკაცრი, ხმამაღალი ტონით საუბარი, შეურაცხმყოფელი საუბრის კონტექსტის გარეშე. აღნიშნული კი, დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისათვის არ ქმნის დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობას.

საჩივარში აღნიშნულია, რომ 2018 წლის 23 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე როგორც მოსამართლე ასევე, პროკურორი სარგებლობდნენ მობილური ტელეფონებით. მომჩივანთა მოსაზრებით ისინი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

საკითხის გამოკვლევის მიზნით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტიდან გამოთხოვილია 2018 წლის 23 ოქტომბრის №-- სხდომის დარბაზის ჩანაწერი. აღსანიშნავია, რომ სხდომის დარბაზში ვიდეოკამერის განთავსების კუთხის გამო, ჩანაწერში ჩანს მხოლოდ დაცვის მხარისა და მოსამართლის პერიმეტრი, ასევე მოსამართლის მხარეს მაგიდაზე განთავსებული ნივთები. ნივთებს შორის, მოსამართლის მხარეს მობილური ტელეფონის არსებობისა და შესაბამისად, მოსამართლის მხრიდან, სხდომის მიმდინარეობისას მობილური ტელეფონით სარგებლობის ფაქტი, არ დასტურდება. გამომდინარე აღნიშნულიდან, საჩივარში მითითებული ვარაუდი, რომ სხდომის მიმდინარეობისას მოსამართლე და პროკურორი ერთმანეთს მობილური ტელეფონით ესაუბრებოდნენ, უსაფუძვლოა.

ამდენად, მოსამართლე -- -- მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა 12 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №273/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი